სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030678545813821

08 / ოქტომბერი / 2021 წ. **თბილისი #06-209/ო**

გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების დანართი 2-ის (იმუნიზაცია - პროგრამული კოდი **27 03 02 02**) მე-9 მუხლის მე-14 პუნქტის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2021–2022 წლების სეზონისთვის ჯანმოს რეკომენდაციების, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციისადმი კულტურის გათვალისწინებით დამტკიცდეს:

1. 2021-2022 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფები:

ა) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან:

ა.ა) დიაბეტის მქონე პირები;
ა.ბ) დიალიზზე მყოფი პირები;
ა.გ)C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი)
ა.დ) აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;
ა.ე) ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები

ბ) სხვა პრიორიტეტული ჯგუფები:

ბ.ა) ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;
ბ.ბ) ორსულები;
ბ.გ) 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;
ბ.დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;
ბ.ე) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები.

გ) ‘’სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N 01/ - 6/ნ ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო იმუნიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული ჯგუფები:

გ.ა.) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი:

გ.ა.ა.) ექიმები;
გ.ა.ბ.) ექიმი-რეზიდენტები;
გ.ა.გ.) ექთნები (მ.შ. უმცროსი ექთნები, ექთნის თანაშემწეები);
გ.ა.დ.) საექიმო და საექთნო საქმის პროფესიული პრაქტიკის სტუდენტები;
გ.ა.ე.) ბებიაქალები;
გ.ა.ვ.) სტომატოლოგები;
გ.ა.ზ) სტომატოლოგის ასისტენტები, სტომატოლოგიის ექთნები;
გ.ა.თ) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან;
გ.ა.ი) სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიოლოგიურ მასალასა და

პაციენტებთან;
გ.ბ.) ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი:
გ.ბ.ა.) ფრინველებთან მომუშავე პერსონალი;
გ.ბ.ბ.) მეცხოველეობაში დასაქმებულები/ფერმების თანამშრომლები;
გ.ბ.გ)მონადირეები;
გ.ბ.დ.) ვეტერინარები;
გ.ბ. ე) ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები;
გ.გ.) სხვა პროფესიული საქმიანობის ჯგუფი:
გ.გ.ა.) ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მომსახურე კონტინგენტი;
გ.დ) თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები:
გ.დ.ა.) საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში წამსვლელი სამხედრო მოსამსახურეები;
გ.დ.ბ.) სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები;
გ.დ.გ.) საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეები;
გ.დ.დ.) სამხედრო სამედიცინო გვარეობის საშტატო თანამდებობაზე მომაშავე სამედიცინო პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან.
გ.ე.) პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი;
გ.ე.ა.) პატიმრობის დაწესებულება,
გ.ე.ბ.) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,
გ.ე.გ.) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა ვაქცინაციის ჩატარების თანდართული წესი.

3. ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყოს 2021 წლის 8 ოქტომბერს, რომლის პირველი ეტაპის სამიზნედ განისაზღვრონ:
ა)დიალიზზე მყოფი პირები;,
ბ)ორსულები,
გ)ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრული რისკის და სხვა პრიორიტეული ჯგუფები, გარდა ამ ბრძანების მე -3 პუნქტისა, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაში ჩაერთვებიან წინასწარ გამოცხადებული თარიღის შესაბამისად.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე